

## განმარტებითი ბარათი

### „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

წარმოდგენილი კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია საგადასახადო და საბაჟო საქმეებზე არსებული საპროცესო ვადების შემცირების საჭიროებით.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტი მიზნად ისახავს საგადასახადო და საბაჟო საქმეებზე საპროცესო ვადების შემჭიდროებას.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

პროექტის თანახმად კანონი ემატება 13<sup>2</sup> მუხლი, რომლის შესაბამისადაც, საგადასახადო და საბაჟო საქმეების განხილვის ვადა პირველი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში სარჩელის, სააპელაციო საჩივრისა და საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს თითოეული ინსტანციის სასამართლოსათვის.

პროექტის მიხედვით, კოდექსის 34-ე მუხლს ემატება ასევე მე-5 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, 34-ე მუხლის 3<sup>1</sup> და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დასაშვებობის ვადები, არ გავრცელდება 13<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ საქმეებზე.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზებაზე.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება დამატებითი საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას.

##### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ გავლენას იმ პირებზე, რომლებზედაც ვრცელდება აღნიშნული პროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის ოდენობის განსაზღვრას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.**

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ**

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

**დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი.**

საქართველოს მთავრობა.